

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## საგნობრივი ცოდნის ტრანსფერი ინტეგრირებულ გაკვეთილზე

ხარაული მარინა

დაბა აგარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

### რეზიუმე

თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები სწავლებისა და სწავლის პროცესისადმი მასწავლებლისგან მოითხოვს მუდმივ თვითგანვითარებას, რაშიც მას ეხმარება არა მარტო თავის თავზე მუშაობა, არამედ კოლეგებთან ერთად სასწავლო პრაქტიკის გაანალიზება, კვლევა. საკიხისადმი ამგვარი დამოკიდებულება გვეხმარება მოსწავლეებს შევუქმნათ შესაფერისი პირობები, რათა ყველა მათგანმა შესძლოს სწავლა. უფროსებს შორის თანამშრომლობით ნამდვილად შეიძლება უკეთესი სოციალური გარემოს შექმნა, ამასთანავე, სასწავლო ინოვაციები მით უფრო ეფექტური იქნება, რაც უფრო ერთობლივად ნაფიქრი და გაანალიზებულია ისინი. ვიცით, რომ მასწავლებელთა ჯგუფური მუშაობა თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ დავგეგმე ინტეგრირებული გაკვეთილი, მათემატიკის მასწავლებელთან ერთად, შეძენილი ცოდნის ცხოვრებაში ტრანსფერის უნარ-ჩვევების სტიმულირების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** სასწავლო პროცესი, სასწავლო ინოვაციები, ცოდნის ტრანსფერი.

მასწავლებელი უნდა იყოს შემოქმედებითი, ასეთი მიდგომა სწავლების პროცესს საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის, იზრდება მოსწავლეთა ჩართულობაც, მით უფრო თუ პროცესი იქნება ინტეგრირებულ სწავლაზე დაფუძნებული, ინოვაციური სწავლების დროს ისტ-ის გამოყენებას უმთავრესი და გადამწყვეტი როლი ენიჭება. დღეს ძნელი წარმოსადგენია ცხოვრება კომპიუტერის, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გარეშე. სასწავლო პროცესი საზოგადოებრივი განვითარების პროცესისგან მოწყვეტით არ განიხილება. აქედან გამომდინარეობს, რომ ის, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, დღის წესრიგში დგას განათლების სისტემაშიც. სწორედ ამიტომ სასურველი ნებისმიერი დისციპლინის სწავლება მიმდინარეობდეს თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებითა და გამოყენებით. ამიტომ ჩვენს გაკვეთილზეც გამოვიყენეთ თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც ცოდნის კონსტრუირების, კოლაბორაციისა და კლასგარეშე სწავლის მხარდასაჭერად, ისე საგნობრივი ცოდნის ტრანსფერის ცხოვრებაში გამოსაყენებლად, რაც

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირებაში, ზრდის მათ მოტივაციას, სწავლა და სწავლება ხდება უფრო სახალისო და მრავალფეროვანი.

**მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა**

IX კლასში ქართულისა და მათემატიკის გაკვეთილების ინტეგრაცია ერთმანეთთან საკითხმაგანაპირობა: სწავლებისას გვეჩვენებინა კავშირი ცხოვრებასა და ცოდნას შორის: ცხოვრებიდან ცოდნისკენ და პირიქით, ცოდნიდან - ცხოვრებაში. ამრიგად, ლეონტი მროველის ნაწარმოების „მოქცევაი მირიან მეფისა“, სიუჟეტი დავუკავშირეთ ცხოვრებისეულ რეალობას და შევავსეთ მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო გარემოდან აღებული პრაქტიკული მაგალითებით. საგნობრივი ცოდნის ტრანსფერის შემთხვევაში მოსწავლეები უკეთ იგებენ თეორიული ცოდნის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში, მის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ დროს მოსწავლეებს უადვილდებათ იმ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც წამოიჭრება მათ წინაშე.

მოხდა ქართული ლიტერატურის გაკვეთილის მთავარი თემის, „ქრისტიანობის როლი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში“, ინტეგრირება მათემატიკის გაკვეთილის მთავარ თემასთან - „ამოცანათა ამოხსნა განტოლებათა სისტემის შედგენით“.

(მასწავლებლებს გაკვეთილის მსვლელობის [დამხმარე სლაიდები](#) PowerPoint -ში წინასწარ ჰქონდათ მომზადებული)

**აქტივობა 1.** მოსწავლეები ეცნობიან შემაჯამებელი გაკვეთილის თემას და მიზანს. ისმენენ მცირე ლექციას, თუ რატომ უწოდებენ საქართველოს „ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას“? ისმება კითხვა: რა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია აღწერილი ლეონტი მროველის ისტორიულ თხზულებაში? მოსწავლეები საუბრობენ წმინდანინოს ღვაწლსა დამეფემირიანის დამსახურებაზე ერის წინაშე. (2წუთი)

**აქტივობა 2.** მოსწავლეები შემთხვევითი შერჩევის წესით იყოფიან ხუთ ჯგუფად ე.წ. „ლიტერატორებად“, „ენათმეცნიერებად“, ხელოვნებათმცოდნეებად“, გეოგრაფებად და ისტორიკოსებად“. მათ ურიგდებათ დავალებები ბარათებით, **ლიტერატორები** ეძებენ ტექსტში მხატვრულ ხერხებს და განმარტავენ ალეგორიულ ფრაზას „ეკალი, რომელი იყო გარემო სამისა, იქმნა ვარდის ფურცელ და სურნელ მის მიერ“. საუბრობენ ტექსტის ფაბულასა და სიუჟეტზე. **ენათმეცნიერები** იკვლევენ ტექსტის ლინგვისტურ თავისებურებებს: (არქაიზმები, არსებითი სახელის ბრუნვის თავისებურება, თანდებულები. საუბრობენ, როგორი გრაფიკული სახე ექნებოდა ტექსტს, რა საწერ მასალას გამოიყენებდნენ..). **ხელოვნებათმცოდნეები** გვიყვებიან იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ქართველთა სულიერი ცხოვრება ხელოვნებაში? (მწერლობა, ხუროთმოძღვრება, ხატწერა, ფრესკა, მხატვრობა, მუსიკა). **გეოგრაფები** ეძებენ ტექსტში ტოპონიმებს, გაგვაცნობენ III –IV საუკუნეებში საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებს, მის მეზობელ სახელმწიფოებს;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ისტორიკოსების სასაუბრო თემაა „ საქართველო და მსოფლიო III –IV საუკუნეებში“, რელიგიები ამ ეპოქაში **15წუთი**. (ჯგუფები ტექნიკურად უზრუნველყოფილნი არიან და შეუძლიათ პრეზენტაცია წარმოადგინონ სლაიდების სახითაც).

**აქტივობა 3.** პრეზენტაცია 19 წუთი

**აქტივობა 4.**(მათემატიკა) პროვოცირება-ინტერესისგამოწვევა: როგორ შეიძლება შევამოწმოთ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ტექსტში ასახული ფაქტი „სამხრობისას დაბნელდა“.

რეალურია თუ არანაწარმოებში აღწერილი ამბები არსებული მონაცემების(მანძილი და დრო) მიხედვით? რა დრო დასჭირდებოდა მირიან მეფეს მცხეთიდან თხოთის მთამდე?-მთელი კლასი მუშაობს სიტუაციური ამოცანა პროგრამა „გეოგებრას“ გამოყენებით (**3წუთი**)

**აქტივობა 5.** -არსებული ცოდნის გააქტიურება და გაღრმავება:

როგორ გამოვიყენოთ განტოლებათა სისტემა?

1) მოსწავლეები შეადგენენ განტოლებათა სისტემას

რა და რა გზით შეიძლება სისტემის ამოხსნა?

2) აირჩევენ ამოხსნის გზას და ამოხსნიან სისტემას (**3წუთი**)

**აქტივობა 6.** შეჯამება:

რამდენად ასახავენ რეალობას მიღებული ამონახსნები? მხედრის სიჩქარე 12კმ/სთ, ფეხით მოსიარულეს სიჩქარე აღმართზე 3კმ/სთ, დრო 3 სთ?-აქტივობაში ჩართულია მთელი კლასი (**1 წუთი**)

**აქტივობა 7.** გაკვეთილის შეფასება, შეჯამება, თვითშეფასება (**1 წუთი**)

**აქტივობა 8.** საშინაო დავალება (**1წუთი**)

მოსწავლეები ასრულებენ მათთვის სასურველწერით დავალებას (ქართულში)

- „მოქცევა მირიან მეფისა“ ტექსტის მხატვრულ-ისტორიული ღირებულება (თხზულება)
- ქრისტიანობის როლი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში(ესეი)
- საქართველო და მსოფლიო III-IV საუკუნეებში(მიმოხილვა)

(მათემატიკა)

მთელ კლასს სურიგდება ბარათებზე ედაწერილი ამოცანა იგივე თემაზე- აგარა-თხოთი და სხვა მონაცემებით.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## შედეგი

გაკვეთილი ინტეგრირებულია, რაც მოსწავლეებს ეხმარება საგნებს შორის კავშირის აღმოჩენაში. ისინი ჰაგიოგრაფიულ ტექსტს გაიზიარებენ სხვადასხვა ასპექტით, მოცემულ ფაქტებს დააკავშირებენ ისტორიულ სინამდვილესთან. ასევე, სიღრმისეულად გაიაზრებენ, თუ სად, რომელ გეოგრაფიულ სივრცეში ხდება მოქმედება.

საქართველოს გაქრისტიანება და წმინდა ნინოს ღვაწლი მეტად მნიშვნელოვანია ქართველი ერისათვის. ჩვენმა გაკვეთილმა კიდევ უფრო გაულვივა მოსწავლეებს ამ საკითხისადმი ინტერესი, მათ გადაწყვიტეს, გაიარონ ის გზა, რომელიც გაიარა მირიან მეფემ, მცხეთიდან თხოთის მთამდე. ამ იდეის განხორციელებაში აუცილებლად დავებმარებით მოსწავლეებს, კლასის ხელმძღვანელთან ერთად დავგეგმავთ ექსკურსიას შესაბამისი მარშრუტით.

ვფიქრობ, მეცნიერულ ცოდნასთან ერთად, მოსწავლეებს გადავეცით ცხოვრებასთან დაკავშირებული ცოდნა, რომლის გამოყენება შეიძლება პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად, რამაც მოსწავლეებში ინტერესი გამოიწვია და მოახდინა მათი შემეცნებითი აქტივობის სტიმულირება.

გაკვეთილის მსვლელობის დროს, განხორციელებული აქტივობებიდან გამომდინარე, მოსწავლეებმა მოახდინეს მათთვის ახალი იდეებისა და ხედვის გენერირება განსხვავებულ კონტექსტში შექმნილი ცოდნის გამოყენებისათვის. მათ ერთმანეთს დაუკავშირეს რამდენიმე სასწავლო დისციპლინაში მიღებული ცოდნა (ქართული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, მუსიკა, ხელოვნება და ისტ-ი).

ინტეგრირებულ გაკვეთილზე პროგრამა «GEOGEBRA»-ს საშუალებით მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, გაიღრმავოს გეომეტრიული წარმოდგენის, ამოცანის კვლევის და ანალიზის უნარი; განუმტკიცდეს რწმენა საიმისოდ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, იოლდება საკმაოდ რთული საკითხების დამლევა. ეს გაკვეთილი დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიცნონ წმინდა ნინოს საერო დასასულიერო ცხოვრების გზა. შეაფასონ მისი ღვაწლი. შეძლონ სხვადასხვა ეპოქის ერთმანეთთან დაკავშირება. მოსწავლეები შეძლებენ ნაწარმოების ინტერპრეტაციას, ასევე ეს გაკვეთილი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გააზრებული კითხვის, კვლევით იუნარ- ჩვევების, კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

გარდა ამისა მოსწავლეები მოახდენენ ცხოვრებისეული სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნას, განტოლებათა სისტემის შედგენას და არსებული მონაცემების მიხედვით ამოხსნიან მას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ

- მოსწავლეებს განუვითარდათ კვლევითი უნარები;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- იმუშავეს ჯგუფებში, გაუადვილდათ თანაკლასელებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
- აუმაღლდათ არგუმენტირებული მსჯელობისა და პრეზენტაციის მომზადების უნარები;
- ამ გზით ესენი ეჩვევიან თვითშეფასებასა და თანატოლთა შეფასებას;
- გააუმჯობესეს სამუშაო დროის მენეჯმენტი;
- მოემატათ პასუხისმგებლობის გრძნობა;
- განუვითარდათ ზეპირი მოსმენისა და ანალიზის უნარი.
- შეძლეს ცოდნის ტრანსფერი.

**დასკვნა**

სხვადასხვა საგნებში შეძენილი ცოდნის ცხოვრებაში ტრანსფერის პროცესი მეტად საჭიროა სწავლების წარმატებულობისათვის. პედაგოგიურ საქმიანობაში მისი გამოყენება სწავლების ნებისმიერ საფეხურზე მნიშვნელოვანია. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სკოლაში შესასწავლი სამეცნიერო ცოდნა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ვფიქრობ საგაკვეთილო პროცესში საგნობრივი ცოდნის ტრანსფერით მოსწავლეები მიეჩვევიან პრაქტიკაში შეამოწმონ და გამოიყენონ შეძენილი ცოდნა, რაცხელს უწყობს როგორც მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევითი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარის, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, ასევე ეხმარება მასწავლებელს პროფესიულ პრაქტიკაში დაიხვეწოს, იყოს ჩართული ნოვატორულ ტექნოლოგიებში, გამოიყენოს ისტ-ი მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ასამაღლებლად, საგაკვეთილო პროცესი გახადოს შემეცნებითი და საინტერესო. შესაბამისად, მასწავლებელიც მეტად მოტივირებულია, ხშირად გეგმავს საკვეთილს სხვა მასწავლებელთან ერთად, რითაც უფრო ეფექტიანად ხდება ეროვნულის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარებისა და ჩვევების განვითარება.

აგარის საჯარო სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა ურთიერთთანამშრომლობის კულტურით, ხშირად ვგეგმავთ და ვატარებთ ინტეგრირებულ საკვეთილებს, რაც უფრო ნაყოფიერს ხდის ჩვენს თანამშრომლობას.

ჩვენთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს:

- ურთიერთდასწრება, ხარვეზებზე ღიად და თამამად საუბარი
- მეგობრული რჩევები და განმავითარებელი კომენტარები
- ურთიერთდახმარება კოლეგებს შორის
- პედაგოგიური კვლევის ჩატარება, შედეგების მიხედვით რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი გარემოს შექმნა საბოლოო შედეგის მისაღწევად
- საკუთარი საქმიანობის შეფასება, ერთმანეთის პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენს სკოლაში პედაგოგებს შორის ნდობის ხარისხი გაიზარდა.

**გამოყენებული ლიტერატურა.**

1. ეფექტური სწავლება სკოლაში -რობერტ ჯ.მარზანო 2009
2. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს. აზროვნება-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (ს. ჯანაშია...)
3. [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=9](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=9)
4. მანანა რატიანი - ტრანსფერის სწავლება  
[http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=325](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=325)